პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 1 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 95 (793) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## დღეს ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის და გამარჯვების დღესასწაულია!

## პირველი მაისი— საერთაშორისო მუშათა კლასის მტკიცე შეკავშირების და სოლიდარობის დღეა!

## დღეს წითელი ფიცის დღეა!

## გაუმარჯოს პირველ მაის—კომუნიზმის წითელ დღესასწაულს!

### პირველი მაისი.

დღეს შრომის დიდი დღესასწაულია.

პირველი მაისი ყველა ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა ბრძოლის და გამარჯვების საზეიმო დღეა.

იქ, სადაც მეფობს კაპიტალი, სადაც მძვინვარებს თეთრი ტერორი, სადაც მუშათა კლასი იზნიქება კაპიტალიზმის მონობის მძიმე უღელის ქვეშ, პირველი მაისი-რევოლიუციონური ბრძოლის და პროლეტარიატის ძალების მობილიზაციის დღეა. განსაკუთრებულ პირობებში ხვდება ევროპისა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარები ამ დღეს. შავი ბურჟუაზიული რეაქცია კვლავ ბატონობს იქ.

ბურჟუაზიული მთავრობები ყოველგვარ ზომას იხმარენ, რათა არ დაუშვან ამ დღის აღნიშვნა პროლეტარიატის მიერ. კაპიტალისტურ კლასს მთელი მისი არსებით სძულს პირველი მაისი, ვინაიდან ის აგონებს მას რევოლიუციის მოახლოებას. მაგრამ მიუხედავათ რეაქციის ტერორისა დასავლეთის პროლეტარები და აღმოსავლეთის დაჩაგრული მასები მაინც დღესასწაულებენ ამ დღეს, ისინი მაინც აღნიშნავენ თავის დიდ დღესასწაულს.

დეე სდევნოს მათ ბურჟუაზიამ, აწამოს ციხე—სარდაფებში! დეე! უღალატოს მას სოციალ-დემოკრატიამ, რომელმაც უარი განაცხადა პირველი მაისის დღესასწაულზე!

მუშათა კლასის რიგები მაინც არ შედრკება!

პროლეტარიატს მტკიცედ სწამს თავისი საბოლოო გამარჯვება. ამის საუკეთესო საწინდარია შეურიგებელი და თავდადებული ბრძოლა მისი წინამძღოლის — კომუნისტური პარტიის.

ამის საწინდარია დიდი საბჭოთა კავშირი, სადაც იგივე პირველი მაისი შრომის გამარჯვების დღესასწაულია.

აქ მუშურ-გლეხურ ქვეყანაში პირველი მაისი—მშრომელთა ნამდვილი ზეიმია. დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები—ყველანი აქტიურათ მიიღებენ მონაწილეობას პირველი მაისის დღესასწაულში. თუ იქ ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარები დაისახავენ ახალ ამოცანებს მათი რევოლიუციონურ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან, აქ საბჭოთა კავშირში ჩვენ დავისახავთ ახალ ამოცანებს შრომის და აღმშენებლობის საქმეში, რომელიც უფრო ააყვავებს და განამტკიცებს სოციალისტურ სახელმწიფოს.

მუშების და გლეხების ინტერესების დამცველ წითელარმიისათვის დღევანდელი დღე დიდათ ძვირფასია აგრეთვე იმიტომ, რომ ის დღეს იღებს წითელ ფიცს.

დღეს პროლეტარიატის დიდ წითელ დღესასწაულზე წითელი არმია ფიცს სდებს, რომ ის მტკიცედ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს პირველ მაისის საბოლოო გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელთა დიდ დღესასწაულს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

### პირველი მაისი.

ო, პირველი მაისი,—ყელს ვარდისფრა ბანტება,—
იქოჩრება მრისხანედ ანისლულ ჯალათებზე;
მისი ურჩი ყიჟინა ძლევით შორს იფანტება
და სალბუნით მოიმღერს ნეტარ ლურჯ ხალათებზე!..

წითელ დროშის ტყეებში ჰყვავის ანცი ოცნება;—
თავისუფლება ამბობს არაკს ამაყ ქუჩებზე;
ატეხილი სიამე ფირუზ ცით იკოცნება
და, ევლება ველებით, ტიტან მთებს ქუჩუჩებზე!..

ახმაურებული ზღვა დარტყმად იგუგუნება,—
ქალაქი სოფელს უბამს ფოლადის სიმებს ქნარზე;
საკინძ ჩამოწყვეტილი დუდუკს უკრავს ბუნება
და ჰეროლდი საყვირით ბუქნას უვლის გიჟ ქარზე!..

ო, ლამაზი მაისი,—აჯანყების ანთება,—
გაზაფხულის ღიმილით იწვევს ყველას ნადიმზე;
აღმოდებული დროშა შვენის სისხლის კალთება,
და სდაფნის ახალ ჰიმნით, ატლას-ლოყა მნათი მზე!..

სეზმან ერთაწმინდელი.

### შრომისა და ბრძოლის დღესასწაული.

ისტორიას ახსოვს უთვალავი რელიგიური დღესასწაულები.

ეს დღესასწაულები წარმოიშვა მაშინ, როცა ადამიანის გონება ბნელი წყვდიადით იყო მოცული.

გაბატონებულმა კლასმა ადრე აუღო ალღო ამ დღესასწაულების მნიშვნელობას და გამოიყენა ისინი თავის საკეთილდღეოდ.

რელიგია და მაშასადამე, ყოველი დღესასწაული გაიხადა მან მონობისა და ჩაგვრის იარაღად. საუკუნოების განმავლობაში გაბატონებულმა კლასმა დააკანონა მონობა და ჩაგვრა რელიგიის შემწეობით.

მაგრამ დიდი ხნის ძილის შემდეგ მონამ გაახილა თვალები, ცოტათი წელში გაიმართა და თვალი გაუსწორა სინამდვილეს. მან გაბედულად დაჰგმო ეს მონობისა და ჩაგვრის რელიგია თავისი დღესასწაულებით და სამაგიეროდ წამოაყენა ახალი რელიგია—საერთაშორისო მშრომელთა სოლიდარობა—რელიგია პროლეტარიატის, 1-ლი მაისის დღესასწაულით.

არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი კუთხე, არც ერთი ქარხანა, სადაც მშრომელმა არ იგრძნოს დღევანდელ დღეს ამ დღესასწაულის სიდიადე და არ გამოსთქვას თავისი მოთხოვნილება ამა თუ იმ სახით საერთაშორისო ჩაგვრისა და ყვლეფის წინაალმდეგ.

როგორ წარმოიშვა პირველი მაისის დღესასწაული? ქალაქის მუშებმა თანდათან შეიგნეს ბრძოლის აუცილებლობა თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმისათვის, რომ მშრომელმა ადამიანურად იცხოვროს საჭიროა დღე და ღამ სხვის სასარგებლოდ ოფლის ღვრის მაგივრად ნორმალური შრომა, დასვენება და შრომის ხელფასი.

კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა ეკონომიური მდგომარეობა თითქმის ერთი და იგივე იყო და ამიტომაც ბრძოლა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაიწყო ყოველგან ერთსა და იმავე დროს. მუშებმა გაიგეს, რომ ამ ბრძოლისათვის საჭიროა გაერთიანებულ იქნას არა ერთი და ორი ქარხნის, არა ერთი და ორი სახელმწიფოს მუშები, არამედ მთელი საერთაშორისო მუშათა კლასი.

ამიტომაც მუშათა მოძრაობის ბელადებმა (მარქსმა და ენგელსმა) ასეთი მოწოდებით მიმართეს პროლეტარიატს: **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.** და ამ მოწოდებას გამოეხმაურა მუშათა კლასი.

მუშებმა დაარსეს საერთაშორისო რევოლიუციონური კავშირი—**ინტერნაციონალი.** ინტერნაციონალის ერთმა ყრილობამ 1889 წელს დაადგინა: გამოცხადებულ იქნას პირველი მაისი შრომის დღესასწაულად, შესწყდეს მუშაობა ყველა ქარხნებში, მუშები გამოვიდენ ქუჩებში სადემონსტრაციოდ და დაანახონ კაპიტალისტებს თავიანთი ძალა, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს ყოველგვარ ექსპლოატაციასა და ჩაგვრას.

ასე წარმოიშვა შრომისა და ბრძოლის საერთაშორისო დღესასწაული—**პირველი მაისი.**

ამ დროიდან ყოველ წელს მთელი ქვეყნის მუშები თავს ანებებდენ პირველ მაისს მუშაობას, გამოდიოდენ ქუჩებში

### მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

პირველი მაისი არის საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაული. ამ დღეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი გამოდის ქუჩებში სადემონსტრაციოთ და უყენებს თავის მოწინააღმდეგე კლასს—ბურჟუაზიას, ეკონომიურ და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებებს. პირველ მაისს მთელი ქვეყნის ბურჟუაზია თავის მთავრობებით ნერვების დაჭიმით ელოდება. ამ დღისათვის განსაკუთრებული მზადება აქვს ბურჟუაზიულ მთავრობებს თავდაცვისათვის. პირველ მაისს ორი უმთავრესი კლასი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი პირის პირ ხვდებიან ქუჩებში ერთმანეთს და სინჯავენ თავიანთ ძალებს.

პირველი მაისი მუშათა კლასის თავის ბატონობისათვის ბრძოლაში საუკეთესო საშვალებაა. ამ დღესასწაულს ის იხდის 36 წლის განმავლობაში. ამ დღის ჩასატარებლათ მუშათა კლასი სათანადოთ მომზადებული გამოდის. პირველათ (და შემდეგაც) როდესაც მუშათა ორგანიზაციებმა დაიწყეს პირველი მაისის ჩატარება ყველა ქვეყნის ბურჟუაზია სტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილებს და თავს აფარებდენ ისეთ პატარა ქალაქებს ან სოფლებს, სადაც მუშების დემონსტრაციები არ მოხდებოდა და თავის ქონების დაცვას აბარებდა შეიარაღებულ ძალებს. მე მოწამე ვარ ასეთ სურათის, როდესაც დამფრთხალი ბურჟუები გარბოდენ სოფლებში და მახლობელ დაბებში და აღშფოთებით აღნიშნავდენ მუშების „თავხედობას“ და ასეთი სიტყვებით იხხანდენ გულს „დაიცადონ ამ არამზადა მუშებს ჩვენი პოლიცია ასწავლის ჭკუას.“ დღეს რუსეთის ბურჟუაზიას არსად არ აქვს გასაქცევი ადგილი, რადგან მთელ საკავშირო სახელმწიფოში არ დარჩება არც ერთი ყრუ სოფელი, სადაც არ გაიმართოს უკვე გამარჯვებულ პროლეტარიატის მიტინგები და დემონსტრაციები.

მხოლოდ ევროპის ბურჟუაზიას კიდევ აქვს თავშესაფარი ადგილი, მაგრამ როდემდის? დღეს მთელი საკავშირო სახელმწიფოს სადემონსტრაციოდ გამოსულ მუშების და გლეხების ლოზუნგი ასეთია: წარმოების განვითარება და შრომის ნაყოფიერობის ზრდა. გლეხის მეურნ. გაუმჯობესება. პროტესტი თეთრი ტერორის წინაალმდეგ; თავდაკვითი ორგანიზაციის გამტკიცება, ხელის შეწყობა წ.-არმიის გამტკიცებისათვის და სხვა. ამავე დროს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და გლეხობა მოუწოდებს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს, რათა გაათკეცებული ენერგიით ებრძოლოს მის მოწინააღმდეგე კლასს—ბურჟუაზიას, და ამ ბრძოლაში ჩვენც მასთან ვიქნებით. აღმოსავლეთის ახალშენებმა და ნახევრათ ახალშენებმაც არ უნდა შეაჩერონ დაწყებული ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლა და დროულათ მოიშორიონ თავიდან მტაცებელი იმპერიალისტები, რომლებიც ას წლობით სწოვდენ სისხლს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს.

ამ ბრძოლაშიც საბჭოთა რესპუბლიკის მუშები და გლეხები მათთან იქნებიან იმპერიალისტების წინაალმდეგ.

ს. ლომიძე.

და უკუაგდებდნენ ბურჟუაზიულ კლასს სხვა და სხვა მოთხოვნილებს.

პირველ მაისს მუშათა ჩვეულებრივი მოთხოვნილება იყო 8 საათის სამუშაო დღე, მუშათა შემდეგი მოთხოვნილება იყო ერთაშორისო მშვიდობიანობა და ძმობა და მილიტარიზმის (მილიტარიზმის) მოსპობა.

გარდა ამისა სხვა და სხვა ქვეყნის მუშები აყენებდნენ კიდევ სხვა მოთხოვნებს სხვადასხვა საკითხებს.

მაგალითად პირველ მაისს რუსეთის მუშები რევოლუციამდე მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის ჩამოგდებას.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშათა კლასი დღესაც სასტიკად გრძნობს კაპიტალის მძიმე უღელს და დღეს, დარაზმული შრომის განთავისუფლების დროშის ქვეშ განაცხადებს სასტიკ პროტესტს უსამართლობის წინააღმდეგ და წარუდგენს საერთაშორისო ბურჟუაზიას თავის მოთხოვნილებებს.

ჩვენში კი, საბჭოთა კავშირის თავისუფალი მუშა და გლეხი დღესაც, როგორც ყოველთვის, შეურიგებელ თავის ძლიერ მხარს დასავლეთის პროლეტარიატს მხარს უჭერს.

2 ინტერნაციონალი, თავის რევოლუციონურობის წარსულით, ხელმძღვანელობდა ამ დღესასწაულს ჩატარებას— მაგრამ შემდეგ, როდესაც მისი იდეოლოგიური გარდაქმნა ცადი შეიქმნა, ის ცდილობს სხვა შინაარსი მისცეს ამ დღესასწაულს.

ეს ცდები უნაყოფოდ თავ- [illegible] სოციალ-დემოკრატია ამ დღესასწაულს არა მარტო საბოტაჟს, არამედ წინააღმდეგობასაც კი უწევს. მხოლოდ **კომუნისტური ინტერნაციონალი** არის მუშათა კლასის ხელმძღვანელი მუშურ-ხელისუფლების დამყრობისათვის ბრძოლაში და [illegible] რევოლუციონურ ტრადიციების დამცველი. დღეს ალმართულ ბარიკადის აქეთ მუშათა კლასია მისი ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიით, მეორე მხრივ კი მსოფლიო ბურჟუაზია და მისი დამხმარე მუშათა კლასის მოღალატე—სოციალ-დემოკრატია.

ს.—ი.

# რადიჩის პარტიის სამარცხვინო ალსასრული.

რევოლუციონური ბრძოლა დასავლეთ ევროპაში თავის ფერხულში ითრევს არა მარტო მუშათა მილიონიან მასებს, არამედ გლეხების ფართე ფენებსაც. განსაკუთრებით დიდია გლეხთა უკმაყოფილება და მათი მოძრაობა ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ პოლონეთში, რუმინეთში და საერთოდ ბალკანეთის ყველა სახელმწიფოებში. წვრილი გლეხობა ამ ქვეყნებში უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფება. ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება უმოწყალოდ ყვლეფს მათ.

ამიტომაც გლეხთა ფართე რევოლუციონური მოძრაობის ნიადაგზე ამ ქვეყნებში აღმოცენდენ გლეხთა პარტიები, რომლებმაც იკისრეს არსებულ წესწყობილების დანგრევა. მაგრამ თუ რამდენათ აღწევენ გლეხთა პარტიები თავის მიზანს ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა სტეპან რადიჩის პარტიის საქმიანობა.

ეს პარტია ერთ უძლიერეს გლეხთა პარტიათაგანი იყო სამხრეთ-სლავიაში. ის ენერგიულად ებრძოდა რეაქციონურ პაშიჩის მთავრობას.

ბოლო ხანებში რადიჩის გლეხთა პარტია კიდეც შევიდა გლეხთა ინტერნაციონალში, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალი. თვით რადიჩმა მოინახულა საბჭოთა კავშირი და დაბრუნებისას სამხრეთ-სლავიაში მეტის ენერგიით და გაფართოებით შეუდგა ბურჟუა—მემამულეების ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. არც პაშიჩის მთავრობამ არ დაინდო ის და დაუწყო მას და მის პარტიას სასტიკი დევნა. განსაკუთრებით მთავრობის ტერორმა უმაღლეს წერტილს მიაღწია უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს. და აი სწორედ უაღრესად კრიტიკულ მომენტში, როცა საჭირო იყო მეტი სიმტკიცე და შეუდრეკლობა, როცა საჭირო იყო ამ შეუდრეკლობის დანახვა მტრისათვის, რადიჩი და მისი ახალო თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელობდენ სამხრეთ-სლავიის გლეხთა პარტიას, ღალატობს მთელ პარტიას, საჯაროთ უარყოფს მის პროგრამას, გამოდიან გლეხთა ინტერნაციონალიდან, სცნობენ მონარქიულ წესწყობილებას და სხვა.

ამნაირად რადიჩმა და მისმა პარტიამ სასტიკად უღალატა როგორც გლეხობას ისე მუშათა კლასს. რას გვეუბნება ჩვენ ასეთი სამარცხვინო ალსასრული რადიჩის გლეხთა პარტიისა? მას რომ ერთად ერთი დამცველი, ერთად-ერთი ღირსეული ხელმძღვანელი, რომელიც მუდამ ჭირში და ლხინშია მშრომელთა მასებთან და რომელიც არას დროს არ უღალატებს მათ—არის მხოლოდ კომუნისტური პარტია. ავიღოთ იგივე სამხრეთ-სლავია. იქაური კომუნისტური პარტია გაცილებით ბევრად უფრო უარეს პირობებში იმყოფება, ვიდრე რადიჩი და მისი თანამოაზრენი იყვნენ, მაგრამ სამხრეთ-სლავიის კომპარტიის რიგები ერთხელაც არ შემდრკალა და არ შერყეულა.

ის მტკიცედ სდგას თავის პოზიციებზე. და ის გლეხთა მასები, რომლებიც რადიჩის პარტიას შეჰყურებდენ დიდი სასოებით, ამიერიდან თავის ხელმძღვანელად აირჩევენ კომუნისტურ პარტიას. რადიჩმა ბოლომდი ვერ მიიყვანა დაწყებული საქმე, უღალატა მას, გადაიხარა ბურჟუაზიის მხარეზე. მაგრამ სამხრეთ სლავიის რევოლუციონური გლეხობა, რომელიც მასთან ერთად იბრძოდა ბურჟუა—მემამულეების ბატონობის წინააღმდეგ დარჩენ თავისი რევოლუციონურ პოზიციებზე. ვერავითარი დევნით და წამებით სამხრეთ-სლავიის მთავრობა ვერ ჩაკლავს გლეხთა მასებში განთავისუფლების წყურვილს და ვერ აალებინებს მათ ბრძოლაზე ხელს.

სამხრეთ—სლავიის გლეხები მუშათა კლასთან მტკიცე კავშირში კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მიაღწევენ მას, რასაც ვერ მიაღწია და უღალატა სულმდაბალმა რადიჩმა,—მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარებას თავის ქვეყანაში.

—ე.

ორშაბათს, 4-მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია, ტფილისის აღმასკომში, ტფილისის საბჭოს სექციების სხდომა.

1) კომუნალურის . . . აღმასკომის დარბაზში.
2) საფინანსოსი . ოთახი № 17
3) ჯანმრთელობის . „ № 57
4) განათლების . „ № 32
5) სოფელში მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის . „ № 66
და 6) სამხედროსი . „ № 5

**დღის წესრიგი ყველა სექციებისათვის:**

1) სექციების დებულების გაცნობა,
2) სექციების მუშაობის გეგმა,
3) სექციების ბიუროს არჩევნები,
4) კომისიების არჩევნები
და 5) მოხსენება საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ (უკანასკნელი სექციაში.)

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა გამოცხადება დანიშნულ დროზე სავალდებულოა. საბჭოს წევრები, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან არც ერთი სექციაში ვალდებულნი არიან ჩაეწერონ აუცილებლათ ამავე დღეს.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის
**ხელმძღვანელი არ. რუხაძე.**

# როგორ ჩავარდა რადიჩი კაპიტალის ბრჭყალებში.



რადიჩის პარტიის ქედის მოხრა თანდათან იწვევს გაცხოველებულ ინტერესს სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში.

მუშათა გაზეთი „რადნიჩკა ბორბა“ აქვეყნებს შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს:

რადიჩის პარტიამ იყიდა ზაგრებში სასახლე ერთ ცნობილ ხორვატიის სპეკულიანტ, იურპიჩესაგან და ამის გამო დაედო ხორვატიის მსხვილი ბანკების ვალები. ხორვატიის გლეხთა კოოპერატივები დამოკიდებული შეიქნენ ამ ბანკებისაგან.

ამ რიგად გალებულ კარებში მსხვილმა კაპიტალმა გადასდგა ნაბიჯი, რათა ხელში ჩაეგდო პარტიის ხელმძღვანელები და მათი საშუალებით გლეხთა მასები. თავისი ქედ მოხრილი სიტყვა რადიჩმა წარმოსთქვა მის საიდუმლო მოკავშირეებთან —ბანკირებთან შეთანხმებით ისე, რომ არ გაუფრთხილებია ამის შესახებ პოზიციის პრეზიდიუმი და გლეხთა ბლოკის დეპუტატები.

# ქართული წითელი ლაშქრის მთლიანი კოოპერატივის რწმუნებულთა წლიური მე-4 ყრილობა.

**მეორე დღე.**

მეორე დღეს ყრილობამ მოისმინა საბჭოს მოხსენება. მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. ქკუასელი.

საბჭოს მოხსენებისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ანდღულაძემ, სვანიძემ, ქკუასელმა, წითელ არმიელმა მონიავამ და სხვებმა.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ი. ებრალიძის

**საბოლოო სიტყვა**

გამგეობის მოხსენების შესახებ. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ყველა ოპონენტებზე. იგი იხსენიებს ამხ. ანდღულაძის სიტყვას და ამბობს, რომ მისი საყვედურები მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძვლებს.

—ჩვენ აქ გვისაყვედურეს თითქოს ნისიას არ ვაძლევდით წევრებს თავის დროზე—ამბობს ამხ. ებრალიძე—საქმე იმაშია რომ ზოგჯერ ასეთ ნაბიჯს შეუძლია ძლიერ ცუდი გავლენა მოახდინოს კოოპერაციის მდგომარეობაზე. რა წუთშიაც ჩვენ მოგვეცა საშუალება კრედიტი გაგვეხსნა წევრებისათვის,—ჩვენ ასეთი ნაბიჯი გადავსდგით დაუყონებლივ და თქვენ იცით რომ დღესაც ჩვენ ვაწარმოებთ საქონლის ნისიათ გაცემას წევრებზე.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ ბევრი ოპონენტი გვისაყვედურებდა ჩვენ ისეთ „ცოდვებს“, რომლებიც სხვათა შორის, თითონაც ბლომათ აქვთ.

ასეთი იყო, მაგალითად აქ გორის წარმომადგენლის საყვედური, რომ თითქოს უარყოფითი საქმიანობათ უნდა ჩაეთვალოს კოოპერატივის გამგეობას ის, რომ იგი ვაჭრობს, ფუფუნების საგნებით და მაგარი სასმელებით. მაგრამ, განაგრძნობს ამხ. ებრალიძე,—თვით გორის ჩვენმა განყოფილებამ თითქმის ყველას დაასწრო იმავე ძვირფასი სასმელების გაწერა და აშკარაა რომ აქ ჩვენ მიმართ საყვედური უადგილოა. ვაჭრობა ისეთია, რომ აქ შეიძლება მოგებაც, ზარალიც და ყველაფერი ის რაც ვაჭრობის ოპერაციებთანაა დაკავშირებული.

ფართოდ შეჩერდა მომხსენებელი აგრეთვე წითელ არმიელ-მონიავას სიტყვაზე.

დასასრულ, ორატორი შეჩერდა „ევკოგრუზის“ ორგანიზაციულ წარმატებებზე და აღნიშნა, რომ ორგანიზაციულათ ჩვენი კოოპერატივი გაიზარდა 5-6ჯერ. ამისათვის საჭიროა მხოლოდ გადავხედოთ აქ წარმოდგენილ დიაგრამებს.

ამხ. ებრალიძის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა აგრეთვე

**სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი**

ამხ. ლორთქიფანიძე. იგი აცხადებს, რომ როგორც ოპონენტებმა, ისე ამხ. ებრალიძემ და სხვებმაც აქ საკამოთ შეეხენ თითქმის ყველა საკითხებს და ამოსწურეს იგი. ამიტომ მას ბევრი აღარაფერი დარჩენია სალაპარაკო.

ამხ. ლორთქიფანიძის შემდეგ ყრილობამ მოისმინა

**მოხსენება წესდების ზოგიერთი მუხლების**

შეცვლის შესახებ, ამხ. ვ. ბახტაძის მოხსენება. ამავე მოხსენებასთან გაერთიანებული იქნა აგრეთვე მოხსენება მიმდინარე სამეურნეო წლის საინფორმაციო მოხსენება და მოხსენება აგრეთვე მომავალი გეგმის და ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობამ დაადასტურა ამხ. მომხსენებლის მიერ წარდგენილი პროექტი წესდების თორმეტი მუხლის შეცვლის შესახებ. ამხ. მომხსენებელმა სთქვა რომ წელს ჩვენი წარმატება ფრიად თვალსაჩინოა. იგი ციფრებით ამტკიცებს, რომ ეს წარმატება გამოიხატა მიმდინარე წლის 6 თვის ბრუნვაში, რომელიც უდრის წარსული წლის ბრუნვას და კიდეც აჭარბებს მას.

**რეზოლიუცია.**

რეზოლიუციის სარედაქციო კომისიის სახელით ამხ. დოლიძე კითხულობს რეზოლიუციას, რომელიც ყრილობამ მიიღო ერთხმად და რომელიც ჩვენ მოგვყავს აქვე მცირედი შემოკლებით:

რწმუნებულთა მე-4 ყრილობამ მოისმინა რა, მოხსენებები და ანგარიში გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის 1924 საოპერაციო წლის მოქმედების შესახებ ადგენს:

1. მიუხედავათ ფრიად მძიმე პირობებისა გამგეობას გასული საოპერაციო წელი შედარებით უმტკივნეულოთ ჩაუტარებია და ღებულობს რა მხედველობაში შარშანდელ პირობებს სცნობს გამგეობის მოქმედებას დამაკმაყოფილებლად.

2. გასულ საოპერაციო წელს მიღებულ ზარალს ყრილობა სცნობს, როგორც შედეგებს იმ საერთო ობიექტურ და სუბიექტურ პირობებისა, რომელშიაც შარშან იმყოფებოდენ ჩვენში მომქმედი კოოპერატივები საერთოდ და კერძოთ ჩვენი კოოპერატივი.

3. ყრილობა ამტკიცებს 1924 საოპერაციო წლის ფინანსიურ ანგარიშს და წინადადებას აძლევს გამგეობას, თანახმად მოქმედი წესდებისა, ზარალი დახუროს ძირითადი თანხებიდან.

4. იღებს რა მხედველობაში ყრილობაზედ გამოთქმულ სურვილებს კოოპერატივის გაჯანსაღების და განვითარების მიზნით კრება ადგენს:

ა) მიეცეს წინადადება გამგეობას მომავლისათვის შეიმუშაოს მტკიცე სამოქმედო გეგმა რა მიზნითაც:—გადასინჯოს მომქმედი სავაჭრო წერტილები მათი არსებობის მიზანშეწონილობის გამორკვევის მიზნით და მოახდინოს ნაწილობრივი შემცირება.

ბ) წინადადება მიეცეს გამგეობას მიიღოს ყოველგვარი ზომები საშუალებათა მოპილიზაციის მოსახდენათ რა მიზნითაც:—ზედმიწევნით შესწავლილ იქნას ბოლას-კიასანის მამულის შენარჩუნების მიზანშეწონილობა და თუ დამტკიცდება ჩვენ მეურნეობასთან მისი არსებობის შეუფარდებლობა უმტკივნეულოდ მოახდინოს მისი ლიკვიდაცია.

მიღებულ იქმნას ზომები მძიმე საქონლის სარეალიზაციოთ. თუნდაც მცირე ზარალი. მიღებულ იქნას ზომები საპაიო და საწევრო თანხების სრულად შეგროვებისათვის.

მოისპოს ნისიად გაცემა საქონლის იმ წევრებზედ, რომლებსაც არ აქვს შემოტანილი სრული საპაიო თანხა.

გ) სასტიკი წინდახედულობით იყოს გაწეული ისეთი ხარჯები, რომლებსაც არ აქვთ კავშირი ორგანიზაციულ-კომერციულ საქმიანობასთან.

დ) მიექცეს მეტი ყურადღება დახურულ განმანაწილებელ კოოპერატივებს სამხედრო ნაწილებში.

გაცხოველდეს ინსტრუქტორული მუშაობა ჯარის ნაწილებში კოოპერატიული იდეების პროპაგანდის მიზნით.

მეტი ყურადღება მიექცეს ჯარში მეთვალყურე კომისიების საქმიანობის გამოცოცხლებას და მათ კოოპერატივების საქმიანობასთან დაახლოებას.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხდა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

**გამგეობაში**

არჩეულ იქნენ ამხანაგები ებრალიძე, ბახტაძე, ბერაძე, ს[illegible]ლომიძე და კაპიტონ კალანდაძე.

კანდიდატებად: ამხ. კვარაცხელია (1-ლი ლეგ.) და მაყაშვილი (ცხენ. ლეგ.)

**საბჭოში აირჩიეს.**

კანდელაკი ვას. (თავმჯდომ.) ერისთავი (მუშკოპიდან), ბო[illegible] კოვი (ბოეც კ. კ. ა.), დონ[illegible]ძე, ქკუასელი, ახვლედიანი, ბ[illegible]ახია, უგულავა, მაჭავარიანი, [illegible]ჭაავა და შავლაყაძე.

კანდიდატებად: წალრაძე, კ[illegible]კაბაძე, ბაქრაძე და ჯავახიშვილი.

**სარევიზიო კომისიაში აირჩიეს.**

ლორთქიფანიძე, ჯანგველაძე და ანდღულაძე. კანდიდატად ჭელიძე.

ყრილობის დასასრულ, მიმდინარე საკითხებში ყრილობამ გაარჩია გამგეობისათვის კრედიტის გახსნის საკითხი, რის შესახებაც გამოტანილ იქნა დადგენილება გამგეობისათვის 30 ათას მანეთამდე კრედიტის აღების უფლების მიცემის შესახებ.

ამით დასრულდა „ევკოგრუზის“ მე-4 ყრილობა.

# სამხედრო საქმე

## ტერიტორიალური ნაწილები.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ გვესაჭიროება რეალური ძალა, რომლის შემწეობით ჩვენ შევძლებოდეს თავის დაცვა ჩვენი მტრების ყაჩაღური ზრახვებისაგან. ეს ძალა შექმნილ უნდა იქნას რაც შეიძლება სახალხო სახსარის მცირედი დახარჯვით.

1914—18 წლების პირველ დღეებიდანვე მსოფლიო ომმა მოითხოვა არა მარტო მუდმივი და სათადარიგო ჯარების, არამედ თვით მთელი ხალხის მონაწილეობა ბრძოლაში.

ყველა, ცოტად თუ ბევრად ვარგებული, გაგზავნილ იქნა ფრონტზე. ერთი სიტყვით ომს აწარმოებდა არა ძირითადი არმიები, არამედ მთელი შეიარაღებული ხალხი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიალისტურ ომამდი არა ყველა ბრძოლის უნარიან მამაკაცს გაუვლია სამხედრო სწავლება; მაგალითად რუსეთში ბრძოლისთვის სავარგის 25 მილიონიან კაცისაგან სამხედრო მომზადება გაიარა მხოლოდ 5 მილიონმა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ ჩვენი შეიარაღებულ ძალების საქმე, რომ საჭიროების დროს, მთელი კავშირის ყველა მოქალაქეები მზად იყვენ თავდაცვისათვის; იმავე დროს ჩვენ ბევრი არ უნდა დაგვეხარჯოს ამ მომზადებაზე, ე. ი. ჩვენ უნდა გვყავდეს მტკიცე, ძლიერი, მაგრამ იაფი არმია.

შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ხარჯების შესამცირებლად პირველ ყოვლისა უნდა შევამციროთ დრო ყოველი მოქალაქის მოშორებისა მშვიდობიან ცხოვრებისაგან, ნაყოფიერი შრომისაგან.

შეიარაღებულ ძალთა ასეთ სახეს წარმოადგენს ტერიტორიალური ნაწილები.

მაგრამ უზრუნველყოფს თუ არა ასეთი ნაწილები ქვეყნის თავდაცვას საქმეს?

საბჭოთა კავშირის ფართე ტერიტორიისა და სუსტად განვითარებულ მიმოსვლის ქსელის გამო ამ საკითხებზე არ შეიძლება ვუპასუხოდ დადებითად: ძნელია ტერნაწილების შეკრება საჭირო დროს ერთ რომელიმე პუნქტზე. აი რატომ ვინახავთ ჩვენ ჯერ კიდევ ძირითად (კადრის) ნაწილებს.

ამ რიგად ტერიტორიალური ნაწილები, რომლებიც შემდეგში უსათუოდ სავსებით შესცვლიან ძირითად ნაწილებს, პირველ ყოვლისა უმსუბუქებენ მოსახლეობას სამხედრო ბეგრისა და ხარჯების სიმძიმეს.

დასახულ გეგმის მიხედვით ცვალებად შემადგენლობის სწავლება ტერნაწილებში ნავარაუდევია რვა თვის განმავლობაში, სადაც ეს 8 თვე განაწილებულია ხუთი წლის მანძილზე: სამსახურის ვადა პირველ წელში უდრის 4 თვეს, მეორეში—2 თვეს, მე-3-ე და მეოთხეში თითო თვეს; ხოლო მე-5-ე წელს ტერ-არმიელი მხოლოდ ირიცხება თავის ნაწილში, მაგრამ სამსახურში მას არ იწვევენ; აი ყოველივე ეს უზრუნველყოფს მოცემული ნაწილის სამობილიზაციო მზადებას.

ამ ანგარიშში არ შედის წვევამდელთა მომზადება, რომელიც წარმოადგენს პირველ და უფრო მნიშვნელოვან ეტაპს სამხედრო მომზადების საქმეში.

ტერნაწილების დიდი უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მისი შედგენის საფუძვლად დადებულია ტერიტორიალური პრინციპი, ე. ი. ნაწილები სდგებიან და სწავლობენ თავიანთ რაიონებში, თავიანთ ოლქებში: გუნდი სდგება ახლო მდებარე ერთი ან ორი სოფლიდან—მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ათეული შევსება რამოდენიმე სოფლიდან (მაზრა) და ასე შემდეგ.

ამ რიგად ტერიტორიალურ პრინციპზე ნაწილის შედგენა ყველა საშუალებაზე უკეთესად სჭრის საკითხს ცრონულ ნაწილების შესახებ. წითელი არმია წარმოადგენს სხვა და სხვა ხალხის მუშებისა და გლეხების კავშირს.

პ.

# ახკომკავშირელთა შორის.

### პირველი ლეგიონის ახკომკავშირის კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

პირველი ლეგიონის ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტური კავშირის ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო 9 რე იანვრის ახკომკავშირის ორგანიზაციასთან. თვეში ერთხელ იმართება ლეგიონში გაერთიანებული კრებები; ამხანაგები სისტემატიურად ესწრებიან სხდომებს და საერთო ძალებით ვარჩევთ სხვა და სხვა საჭირო საკითხებს.

ამხანაგები გვეხმარებიან აგრეთვე კლუბში, სამკითხველოში და ლენინის კუთხეებში წარმოებულ მუშაობაში.

ხშირად ჩვენც მივდივართ აღნიშნულ ამხანაგებთან, სრული შემადგენლობით და ვეცნობით მათ საქმიანობას.

ამას გარდა ლეგიონიდან გამოყოფილ და მიმაგრებულია კავშირზე სამი ამხანაგი. მათ განაწილებული აქვთ ფუნქციები. ერთი მუშაობს ბიუროში, მეორე პარტმეცადინეობის ხელმძღვანელთან, ხოლო მესამე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში. ჩვენს წერილებს ყურადღებით ეპყრობიან ისინი და საკმაო ადგილსაც უთმობენ მათ კედლის გაზეთში. ასევე ხდება ჩვენთანაც.

მათ წერილებს სიამოვნებით ვათავსებთ ჩვენს გაზეთში, რაც ზედმეტად უწყობს ხელს სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლას.

იმედია ჩვენი ასეთი საქმიანი ურთიერთ თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და გაიზრდება.

ახკორი გ. ჩიტიაშვილი.



# წითელი არმიელები 1 მაისზე

## პირველ მაისის მიგებება.

პირველ მაისს მივეგებოთ
ამხანაგნო, მიგდეთ ყური!
ვინც ამ დღეს არ მიეგებოს
მას წაუსვათ პირზედ მური.

—

ამ დღეს დასდვა მუშამ აღთქმა,
არ უმტყუნებს ის პირობას,
ჩაგრულთათვის თავს შესწირავს,
არ დაზოგავს თვის გმირობას.

—

ჩვენ ლიდერებს მიულოცოთ
სანეტარო დღე მაისი,
მომავალში გაგვითენონ
უკეთესი დღე გაისი.

——

სამხკორი დ. კიკვაძე.

## პირველი მაისი.

ისტორიას არ ახსოვს ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი დღე! მეთაურთა სკოლა შესაფერ— შინაარსიანად ჩაატარებს ამდღეს.

მოკლე-ვადიან შვებულებაში დათხოვნილნი კურსანტები მოედვენ მთელ საქართველოს!

ყველა მათგანი მზადაა—შესაფერად შეხვდეს დღესასწაულს ჩვენს სოფლებში.

პირველი მაისის ისტორიაზე ყველა ილაპარაკებს დღეს!

პირველი მაისის მნიშვნელობა განუზომელია და მას მიტომ ხვდება აღტაცებით მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი!..

დღეს მეთაურთა სკოლაში დარჩენილ ამხანაგთა ათეულები აღტაცებით დაირაზმებიან დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

„დღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული!..
იგრიალებს გუნდი.

მშრომელი ხალხის მრავალ მილიონებს აღიტაცებს პირველი მაისი, მშრომელთა ნამდვილი გაზაფხულის წინამორბედი!..

ტფილისის ქუჩებს ააფერადებს წითელი დროშები!

ხუდადოვის ტყეშიაც ხეებზე მეტი წითელი დროშები იქნება!

აქ ჩვენ ვნახავთ თუ რა დიად ხასიათს, რა საზეიმო ელფერს მიიღებს ეს დღე!

მზის სიცხოველეს ხარბად დაეწაფება მრავალ მილიონ ხალხთა ერთის მიზნით და ბრძოლის ხალისით აღტაცებული გულები, რომლებიც გამოაშკარავებენ პირველ მაისის დიდებას და ბრწყინვალე მომავლის იმედს!

ს. ჰ.

## საპონ-ზეთის ქარხნის მუშებთან.

25 აპრილს ქართული ცხენოსანი ლეგიონის შემადგენლობა ეწვია საპონ-ზეთის ტრესტის ქარხნის მუშებს. ამხანაგები მხიარულად შემოგვეგებენ-მოგვესალმენ და მიგვიწვიეს ქარხნის დასათვალიერებლად.

ლეგიონის შემადგენლობა გაიყო რამდენიმე ნაწილად და ისე ვაწარმოებდით სხვა და სხვა განყოფილებების დათვალიერებას. ყველა მანქანების მნიშვნელობას და წვრილმანებს გარკვევით გვიხსნიდენ ამხ. მუშები.

ქარხნის დაწვრილებითი დათვალიერების შემდეგ გამოვედით ეზოში და ერთმანეთს უზიარებდით სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ჩვენს შეხედულებებს. მუშებიც და ჩვენც ძლიერ დაგვაკმაყოფილა ამ ექსკურსიამ.

უმთავრესად ჩვენ აქ გავეცანით ერთმანეთს და საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოების საქმეს.

დ. ზეფრაშვილი.

## წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია 6-სე ლეგიონში.

კარგა ხანია ჩვენს ლეგიონში დაიწყო მუშაობა კამპანიის შესაფერი შინაარსიანობით ჩატარებისათვის.

მუშაობის პირველი პერიოდი გამოიხატა, ლენინის კუთხეებში აღნიშნული კამპანიის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ საუბრების ჩატარებაში.

ამავე პერიოდში იქნა გამოშვებული სპეციალური ხასიათის საბიბლიოთეკო კედლის გაზეთი, რომელიც სათანადო ილიუსტრაციებითა და შინაარსით ნათელყოფს წიგნის წარმოშობასა და მის ისტორიას. ამასთანავე სამოქალაქო ორგანიზაციების ბიბლიოთეკებთან გაიბა მჭიდრო ურთიერთობა წიგნებით ერთმანეთისაგან სარგებლობის სახით.

კამპანიის მეორე პერიოდისათვის 23 აპრილს მოხდა ლეგიონის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო, ისეთი საკითხები, რომელთა გაშუქება ძლიერ შეუწყობდა ხელს კამპანიის საფუძვლიანად ჩატარებას.

მომხსენებლებად გამოვიდენ ლეგიონიდან და დივიზიის საბიბლიოთეკო ბაზიდან, რომლებიც ვრცლად შეეხენ წიგნის წარმოშობას, მის განვითარებას და მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.

ბოლოს მომხსენებლები შეეხენ ჩვენში ოქტომბრის რევოლიუციიდან—ლიტერატურის კომუნისტურ ცხოვრების და აღმშენებლობის საუკეთესო იარაღად გარდაქმნას და სხვა.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ამ უახლოეს ხანში განზრახულია სპეციალური წიგნის დღის მოწყობა, სათანადო სალამო—საილიუსტრაციო ინსცენიროვკებით.

არსდება აგრეთვე ბიბლიოთეკის მეგობართა წრე, რომელიც თავისი მუშაობით, უფრო შეუწყობს ხელს ფართო მასის წიგნებით დაინტერესებას.

ვ. ლორთქიფანიძე.

## ჩვენი ასეულის საქმიანობა.

### 6-სე ლეგ. მესამე ასეული.

ხსენებულ ლეგიონის 3-მე ასეული იმყოფება ქ. №-ში, სადაც ის თანდათანობით ეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით. ასეულის მთელი გულისყური მიქცეულია სამხედრო და პოლიტიკური მომზადებისაკენ.

**სამხედრო საქმე.**

ძირეულ შემადგენლობის წითელ-არმიელთა შორის სამხედრო საქმის სწავლება სწარმოებს დღეში თითო საათი, მეცადინეობას წითელ-არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებიან და ხშირად იმეორებენ გავლილს.

**პოლიტ-საათი.**

პოლიტ-საათის დათმობილი აქვს დღეში თითო საათი. შემდეგ მიდის სამხედრო სწავლება, და წვევამდელებში მეცადინეობა

რუქების და სხვა სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ვერ ხერხდება პოლიტ-საათის კომლექსური მეთოდით წარმოება, რაზედაც ლეგიონის ხელმძღვანელები იმედია მიიღებენ შესაფერ ზომებს. გავლილი თემის შეთვისება დამაკმაყოფილებელია.

ამას გარდა კვირაში ერთხელ ტარდება სანიტარული საათიც.

**ბიბლიოთეკა.**

ასეულს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებულია საკმაო დიდ ოთახში და მორთულია ბელადების სურათებით და პლაკატებით. მოგვდის გაზეთები „კომუნისტი“, „მუშა“ „ახალი სოფელი“ და „წითელი არმიელი“. ბიბლიოთეკიდან წიგნებით სარგებლობს ასეულის მთელი შემადგენლობა; არ მოგვეპოება საკმაოდ პოლიტიკური შინაარსის წიგნები, რითაც უფრო დაინტერესებული არიან წითელი არმიელები.

მადლობის ღირსია ადგილობრივი პოლიტ-განი, რომელიც გვეხმარება წიგნებით, რვეულებით და ფანქრებით.

**ლენინის კუთხე.**

ასეულში არსებობს მშვენივრად მორთული ლენინის კუთხე, სადაც სწარმოებს გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და საუბრები.

გვაქვს აგრეთვე სამხედრო კუთხე, რომელიც შეძლებისდაგვარად არის მოწყობილი.

წითელ-არმიელების საერთო განწყობილება საუცხოოა, ვინაიდან, ტანთსაცმელ-ფეხსაცმელით, ლოგინის მოწყობილობით და სასმელ-საჭმელით სრულიათ უზრუნველყოფილი არიან.

სამხკორი ა—ნი.

## წიგნებით ბოროტად სარგებლობენ.

### მესამე ლეგიონი.

ჩვენი ბიბლიოთეკა ამ ბოლო ხანებში ცოტა გამოკეთდა. წიგნები საკმაოდ გვაქვს შეძენილი. მათი ტეხნიკურად დალაგების საქმეც მოთავებულია.

სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ლეგიონის წითელი-არმიელთა შემადგენლობა დიდი ინტერესით ეკიდება წიგნების კითხვას; ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა კი ვერ დგას ამ მხრივ თავის სიმაღლეზე. ერთი უცნაური სენით არიან შეპყრობილი ეს ამხანაგები: გააქვთ ბიბლიოთეკიდან წიგნები და ისე გაივლის მთელი

თვეები, რომ უკან აღარ აბრუნებენ.

ხშირად არის ისეთი შემთხვევაც, რომ დიდი ხნის შემდეგ მათ მიერ უკან მოტანილი წიგნები ისევ დაუჭრელები არიან. რასა ჰგავს ეს?

რად უკარგავენ ეს ამხანაგები წიგნების მოხმარების საშვალებას იმათ, რომლებიც დაინტერესებული არიან კითხვით, და ხშირად ხელ ცარიელი ბრუნდებიან ბიბლიოთეკიდან, რომ ვერ ვიძლევთ მისთვის საინტერესო წიგნებს.

ასეთი საქციელი დიდი დანაშაულია მკითხველების წინაშე. წიგნები დროზე უნდა უბრუნდებოდეს ბიბლიოთეკას!

**ბიბლიოთეკარი.**

# მოგვეცით აბანო.

პირველი ლეგიონის შტაბის შენობის ცალკე ოთახში მოთავსებული ვართ თორმეტი წითელი არმიელები. რაც ასეულიდან გადმოგვრიცხეს, მას შემდეგ არა გვაქვს განსაზღვრული დრო. მუშაობა ბევრი გვიხდება, ყურადღებას კი თითქმის არავინ გვაქცევს.

შტაბში გადმოსვლის შემდეგ, ერთხელაც არ ვყოფილვართ აბანოში. ასე უსუფთაოდ ცხოვრება შეუძლებელია.

კარგი იქნება კანცელიარიის უფროსი მიიღებდეს შესაფერ ზომებს და სამუშაო დროს განსაზღვრასთან ერთად მოგვცემდეს აბანოში წასვლის საშუალებასაც.

წით. არმ. **კალამი.**

# მეტი ყურადღება კედლის გაზეთს.

მე-5-ე **ლეგიონი.**

ერთ თვეზე მეტია, რაც ჩვენს ლეგიონში აღარ გამოსულა კედლის გაზეთი. ეს პირველი მოვლენა არაა ჩვენს ლეგიონში. გაზეთის გამოშვების საქმეს ხშირად მოჰკიდებიან ასეთი გულგრილობით.

რად შეაჩერა სარედაქციო კოლეგიამ გაზეთის გამოშვება? ნუ თუ არ იციან ამ ამხანაგებმა რა მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთს ჩვენი არმიელებისათვის?

საჭიროა განახლდეს გაზეთის გამოცემა და ამავე დროს ის რომ წ.-არმიელების ნამდვილი სულის კვეთების სწორი გამომხატველი შეიქნეს, მის გამოცემის საქმეში ჩათრეული უნდა იქნენ რაც შეიძლება მეტი წითელ-არმიელები.

ამ გარემოებას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილზე მომუშავე ამხანაგებმა, თორემ საქმე არ გაკეთდება.

სამხკორი **აბაზი.**

# მისაბაძი მაგალითი.

ქიათურაში მდგომი 5-ე ასეული თანდათან ეწყობა. ადგილობრივ აკადემიურმა თეატრმა ყოველ წარმოდგენაზე დარბაზში დაგვითმო წითელ-არმიელებისათვის რვა სკამი და ერთიც მეთაურებისათვის. ამნაირად ჩვენც გვაქვს საშვალება უსასყიდლოდ ვისარგებლოთ ადგილობრივი აკადემიური თეატრის წარმოდგენებით.

წარმოდგენები მიდის სისტემატიურად და ჩვენც სიამოვნებით ვესწრებით.

5-ე ასეულის უფ-პოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობა უღრმეს მადლობას უძღვნით ჩვენს ძმობილს ქიათურის აკადემიურ თეატრს და ვუსურვებთ მას დღეგრძელ და ნაყოფიერ მუშაობას.

მიბაძონ ამ მაგალითს სხვა თეატრებმაც.

**ს. ნიშნიანიძე.**

# წრეები უნდა ამუშავდენ.

**საარტილერიო ლეგიონი.**

ლეგიონში პოლიტ და სამწყობრო მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი წრეების მუშაობა თითქმის სრულიად ჩაკვდა.

ერთად ერთი წრე, რომელსაც ეტყობა სიცოცხლის ნიშან წყალი არის დრამატიული წრე, დანარჩენები კი როგორიც არიან: ლიტერატურული, სამხკორთა და ანტირელიგიური აღარსად სჩანან.

საჭიროა დაინიშნოს წრეებში სამეცადინოთ განსაზღვრული დრო, ხელმძღვანელები და განახლდეს მათი მეცადინეობა.

ამას მოითხოვს წითელ არმიელების ფართო მასა და მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ეს შეეხებათ.

სამხკორი **ბაშელი.**

# დაჟანგული ჩაიდანებიდან გვასმევენ ჩაის.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის სასადილოში კარგა ხანია აქვთ დაჟანგული თუნუქის ჩაიდანები, რომლებითაც გვიდუღებენ წყალს ჩაისთვის.

მიუხედავად იმასა, რომ ჩაიდანები ასე არიან დაჟანგული და შესაძლებელია კიდევაც მოვიწამლოთ, მათი გასუფთავებისათვის მაინც არავინ ზრუნავს. უბრალოდ, თითის გამოსმითაც კი აუარება ჟუჟყი და ჟანგი მოგყვებათ. ძლიერ გვეზარება აღნიშნული ჭურჭლებიდან ჩაის სმა, მაგრამ რა უნდა ვქნათ, რომ მეტი საშვალება არა გვაქვს.

კარგი იქნება, რომ ყურადღებას მიაქცევდენ ამას ჩვენი მეთაურები და მოგვაცილებდენ დაჟანგულ ჩაიდნებს.

სამხკორი **ივ. ბარელაძე.**

# დაგვინომრეთ საცვლები.

ამ ბოლო ხანებში ჩვენს მეხუთე ლეგიონში დიდი ყურადღება ექცევა სისუფთავეს დაცვას. თითქმის ყოველ კვირაობით მივდივართ აბანოში.

საცვლები სუფთა გვეძლევა და სხვა, მაგრამ არ არიან დანომრილი.

ამის შესახებ ჩვენი ექიმიც სწერდა გაზ. „წითელ ვარსკვლავში“, სადაც ის მიუთითებდა ვისაც ეხებოდა რომ საცვლები დანომრილი იქნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა დღესაც არავინ იწუხებს ამისთვის თავს.

საცვლების ყოველ დარიგების დროს დიდი აურზაურია, ყველა უკეთეს ირჩევს, ცუდს ხელს არავინ ჰკიდებს და ხშირად ამ ნიადაგზე წითელ არმიელებში უსიამოვნებასაც აქვს ადგილი. ესეც არ იყოს ვინ იცის, ვის როგორი ავადმყოფობა აქვს და შეცვლილი საცვლები ცოტა. საშიშ მდგომარეობაშიც აყენებს ამხანაგებს.

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას და დაინომროს წითელ არმიელების საცვლები.

სამხკორი **მ—სკი.**

# უცხოეთის არმიებში.

**როგორ იყენებენ ავიაციას იმპერიალისტები.**

ინგლისის საჰაერო ძალთა მთავარ სარდალმა ირაკში, ამ რამოდენიმე დღის წ-ნად გააკეთა მოხსენება ავიაციის მოღვაწეობის შესახებ ირაკში.

ქაირში 1921 წელში მომხდარი კონფერენციის დადგენილებით, ირაკში წესიერების დაცვის ვალდებულება მოხსნილი იქნა ჩვეულებრივ ჯარიდან და ეს მოვალეობა მთლიანად გადავიდა სამხედრო ავიაციის ხელში.

ამ გარემოებამ სამხედრო ძალებზე გაწეული ხარჯები 21 მილიონ სტერლინგიდან შეამცირა 3.000.000 სტერლინგამდე წლიურად.

მომხსენებლის მიმართ მრავალი რეპლიკები იქნა გაშვებული, რომლებიც აშკარავებდენ, რომ ირაკში წესიერების დაცვის საქმის მთლიანად ავიაციაზე გადატანა ძლიერ სახიფათო ექსპერიმენტიაო.

მაგრამ საჰაერო ძალებმა ბრწყინვალეთ გაამართლეს იმედები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ავიაცია საუკეთესო საშვალებაა ისეთ უგზო—უკვლო და მიუვალ ადგილებში სასწრაფო სამოქმედოთ, როგორიც არის ირაკი.

რამოდენიმე მანქანამ შესძლო იმ ამოცანების შესრულება, რომელსაც დასჭირდებოდა ჩვეულებრივი ჯარის ერთი დივიზია.

1922 წ. 1924 აპრილამდე შესრულებული ყოფილა სულ 288 საომარი ოპერაციები, რომლებიც ყველა დათავებულა ინგლისელების სასარგებლოდ.

ინგლისელებს დაუკარგავთ სულ 2 მკვდარი და 14 დაჭრილი. მოწინააღმდეგეთა ზარალის შესახებ მომხსენებელი განგებ არაფერს ამბობს.

— არის თუ არა ჰუმანიური საჰაერო ომი? —კითხულობს მომხსენებელი და თან უპასუხებს:

ყოველ შემთხვევაში თუ ის არ არის ჰუმანიური, სამაგიეროდ სწრაფი და საიმედოაო.

**რუმინეთის სამხედრო საგარეო ვალები.**

რუმინეთის სამხედრო საგარეო ვალები აღწევენ 3 მილიარდ 100 მილიონ ოქროს ფრანკამდე.

ამათში 2 მილიარდი და 100 მილიონი ფრანკი ეკუთვნის: ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას, ბელგიას და იტალიას.

**ანტი ბოლშევიკური ფრონტი.**

ანტი ბოლშევიკური ფრონტის შესაქმნელად რუმინეთის მთავრობამ სპეციალური დავალებებით მიავლინა პოლონეთში, ინგლისში და საფრანგეთში პოლკოვნიკი რადელუსკუ. უკან დაბრუნების შემდეგ ის ვრცელი მოხსენებით წარუდგა რუმინეთის სამხედრო მინისტრ მარდარესკუს თავისი მოგზაურობისა და საქმიანობის შესახებ.

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომის თეატრი.** სენაკის მაზრაში, მარნის თემის გლეხკომმა შეადგინა დრამწრე, რომელიც მართავს გლეხობისათვის უფასო წარმოდგენებს.

**სახერხი ქარხნის მოწყობა.** ონტოფოს თემის გლეხკომმა დაადგინა მოაწყოს ადგილობრივ და ააშენოს სახერხი ქარხანა.

**ხილის გადაცემა.** სოფ. ტყვიავის (გორის მაზრა) გლეხკომმა გადასცა ადგილობრივ კოოპერატივ „ლიახვს“ 4 ათასი ფუთი ხილი.

**დავალება დელეგატებს.** გორის გლეხკომებმა დაავალეს ტფილისში, გლეხკომების ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს იშუამდგომლონ გლეხკომების ინსტრუქტორთა მოსამზადებლათ კურსების მოწყობის შესახებ.

**აგურის ქარხანა.** სოფ. ნაესაკაოში (სენაკის მაზრა) გლეხკომი შეუდგა აგურის ქარხნის აგებას.

**გლეხკომების სამკითხველოები.** გორის მაზრის გლეხკომების განკარგულებაში ამჟამად არის 48 სამკითხველო და 5 სასოფლო თეატრი.

**სახალხო სახლი.** ლაილაშის (ლეჩხუმ. მაზრა) გლეხკომმა აირჩია კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ადგილობრივ სახალხო სახლის აგების საქმეს.

**სამკითხველოების მოწყობა.** სენაკის სამაზრო მილიციამ თავის საშეფო სოფელ ჭალადიდში მოაწყო 4 ქოხ. სამკითხველო.

# ახალი ამბები.

— **1-ლი მაისის დღესასწაულის** გამო, 2 მაისს წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიმართება დიდი საღამო.

— **საქონელი სამხედრო კოოპერატივისათვის.** გასული სამეურნეო წლის განმავლობაში „ევკოგრუზის საკომერციო განყოფილებას შეუძენია 734.819 მანეთის საქონელი.

— **მფრინავის იუბილე.** კვირას, 3 მაისს წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება მფრინავ ბესარიონ ქერაურის 15 წლის იუბილე.

— **სამხედრო ხე-ტყის ქარხანას** ამჟამად დამზადებული აქვს 40 ათასი მანეთის ხე-ტყე.

— **არტელების აღრიცხვა.** მიწად-მოქმ. კომისარიატი შეუდგა სასოფლო სამეურნეო არტელების აღრიცხვას.

— **ზაჰესის დათვალიერება.** ტფილისის საბჭომ დაადგინა ამ დღეებში დაათვალიეროს ზაჰესის სამუშაოთა ადგილები.

— **მოჯამაგირების შეკავშირება.** ამჟამად საქართველოში აღრიცხული და კავშირში გაერთიანებულია 8 ათასი მოჯამაგირე.

— **აგურის დამზადება.** გასული წლის განმავლობაში ტფილისის აგურის ქარხნებმა დაამზადეს 6 მილიონი ცალი აგური, სახლების ასაშენებლათ.

— **აფთიაქების გახსნა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა გააფართოოს აფთიაქების ქსელი მაზრებში.

— **დახმარება დახიჩრებულებს.** გასული წლის ოქტომბრიდან ა. წ. 1-ლ მარტამდე დამზღვევმა კასამ დაურიგა დახიჩრებულებს 51.921 მანეთი.

— **ქიათურაში ტყის** მოსაშენებლათ მიწ. მოქ. კომისარიატმა განიზრახა გაგზავნოს იქ ელდარის ფიჭვის ნერგი.

**ახალი წიგნები.**

— **გამოვიდა** ნიკო მაისურაძის წიგნი: „მიწა-ვაშლა და თალგამი“. წიგნი სოფლის მეურნეთათვისაა გამოცემული.

— **გამოვიდა** აგრეთვე მარო ჰელიძის და თამარ სულაკაძის წიგნი „ბაღის მავნებლები“.

— **გამოვიდა** გასასყიდათ. ახ ლი პიესა სენო წერეთლისა „მკითხავის გასამართლება“. ფასი 30 კაპ. გამოცემა ჯ. კ. სანგანათლებისა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

სამხედრო სკოლის ბიურო კოლექტივი აცხადებს. იმ ამხანაგების სიას, რომლებსაც პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე უჯრედებში აქვთ შემოტანილი განცხადება ა. ლ. კ. კ. მიღების შესახებ.

1 მიქაძე გედევანი, 2 გოგსაძე ვარლამ, 3 ოლფრამ ლევანი, 4 დარბაისელი დავითი, 5 ჩიქოვანი შალვა, 6 დოლიძე შალვა, 7 ლალიძე გრიგოლი, 8 ლორთქიფანიძე მიხეილ, 9 თალაკვაძე ვლადიმერ, 10 შავიშვილი დურსუნ (აჭარელი), 11 მეგრელიძე იუსუფ, 12 ბეჟანიძე რუსეინ, 13 ვერულიძე ახმედ, 14 ბაჯელიძე ასლან, 15 მაჩიტაძე გიორგი, 16 ბუხრაშვილი მიხეილ, 17 ვაჩნაძე შალვა, 18 თავაძე ექვთიმე, 19 ტაპიძე შალვა, 20 რუხაძე კლემენტი, 21 გვრიტიშვილი, 22 მჭედლიშვილი გიორგი, 23 საყვარელიძე ბესო, 24 კვალიაშვილი კონსტანტინე, 25 ხორავა ლეონიდე, 26 მიქელაძე ვალერიანი, 27 აკოპოვი სურენ, 28 ხარჩილაძე ვასილი, 29 რუხაძე აკაკი, 30 საჯია ალექსანდრე, 31 ჯაფარიძე ნესტორი, 32 მისრაბაძე სამსონი, 33 ისმალიანი ივანე, 34 ოთარიშვილი ვლადიმერ, 35 კუარაშვილი შალვა, 36 გვასალია შალვა, 37 ქორიძე რაფიელ.

ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის, რის გამო არ შეიძლება მისი პარტიაში მიღება, ვსთხოვთ გვაცნობონ.

ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა.

ბიურო კოლექტივის მდივანი **ვ. ბერიძე.**

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

,ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.